

სიმაღლითი სარტყლოების ფლუქტუაციები და შავი ზღვის დონის  
ცვალებადობა - დასავლეთ საქართველოს მცენარეული საფარის ისტორია  
მეოთხეულში  
(აბსტრაქტი)

*ბაგრატ კიკვაძე*

ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მრავალგვარობა, ისევე როგორც სხვადასხვა გენეზისის ფიტოლანდშაფტების შესაყარზე მდებარეობა დიდ ზეგავლენას ახდენს საქართველოს მცენარეული საფარის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე. რელიეფის დანაწევრებამ და ქედების რთულმა კონფიგურაციამ საქართველოში განაპირობა ეკოსისტემების გეოგრაფიული და ეკოლოგიური იზოლაცია. ამით აიხსნება ადგილობრივი ენდემიზმის მაღალი დონე.

სახეობრივ და ტაქსონომიურ სიმდიდრესთან ერთად, საქართველოს ფლორის ჩამოყალიბების ისტორია მეტად რთულია. ძალიან ღარიბია მონაცემები პალეოგენში საქართველოს ადგილას არსებული იაფეტიდის და ტეთისის სხვადასხვა კუნძულების მცენარეულობის შესახებ. ამ კუნძულების ეოცენური ფლორა ძალზე განსხვავდებოდა თანამედროვე ფლორისგან. ამჟამად მას ალბათ ყველაზე მეტად ჰგავს ინდურ-ავსტრალიური ტროპიკული ფლორა თავისი მარადმწვანე ხეებით, ხისმაგვარი გვიმრებით, პალმებით და სხვ.

რელიეფისა და მცენარეული საფარის ცვლილება ბოლო ათეული მლნ. წლის მანძილზე ძალიან რთულად მიმდინარეობდა. ჰავის თანდათანობითმა, ტალღისებრმა აცივებამ გამოიწვია ტროპიკული (თანამედროვე გაგებით) ჰავის ფლორის სახეობების მოსპობა. პლიოცენში მთისწინეთის და მთის ქვედა სარტყელში გავრცელებული იყო უმთავრესად სუბტროპიკული ტყეები,

რომელთა პირველ იარუსში სჭარბობდა ფოთოლმცვენი სახეობები. უფრო მაღლა განვითარებული იყო ზომიერი ჰავის ტყეები, სადაც ბევრი ამჟამინდელი სახეობის მცენარეც იზრდებოდა.

პლიოცენის დასაწყისშივე ხმელეთის იმ ნაწილში, რომელიც ახლა დას. საქართველოს და შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთ მომიჯნავე ტერიტორიას უჭირავს, წარმოიშვა უფრო ძველი მეზოფილური ტყის ფლორის რელიქტთა კოლხური რეფუგიუმი; რომლის წარმოშობას ხელი შეუწყო ქედების იმგვარმა განლაგებამ, რომელიც უზრუნველყოფდა კოლხეთის ტერიტორიაზე შედარებით თბილი და ტენიანი ჰავის შენარჩუნებას. კოლხეთის რეფუგიუმს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რელიქტური სახეობების შენარჩუნებისათვის პლიოცენსა და განსაკუთრებით მეოთხეულ პერიოდში (მათ შორის, გლაციალურ ეპოქებში). აქ თავშესაფარი ჰპოვეს ძველმა სახეობებმა, რომლებიც ასიათასობით და მილიონობით წლის წინ ამოწყდნენ დას. ევრაზიის დანარჩენ ტერიტორიაზე. კოლხეთში ჩვენს დრომდე მოაღწიეს ისეთმა სახეობებმა. როგორცაა მედვედევის არყი, პონტური მუხა, იმერული ხეჭრელი, კოლხური სურო, ლაფნის ხე, მოცვი, წყავი, შქერი და ბევრი სხვ. მათთან სისტემატიკურად და ეკოლოგიურად ახლომდგომი მცენარეები ამჟამად იზრდებიან უმთავრესად აღმ. და სამხ-აღმ. აზიაში, აპალაჩებში და ნაწილობრივ ატლანტიკაში, აზორის კუნძულებზე. ასეთია მაგ: ეპიგაეას გვარი, რომლის მხოლოდ სამი სახეობაა ცნობილი ამჟამად. აქედან ერთი იზრდება იაპონიაში, მეორე ჩრდ. ამერიკაში, მესამე კი აჭარასა და ლაზეთში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში (განსაკუთრებით კი კოლხეთში) შემორჩა ძველი, პრეგლაციალური ფლორის მრავალი რელიქტი, მისი მცენარეული სამყარო მეოთხეულ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამოწყდა თერმოფიტების უმეტესობა და მკვეთრად გაიზარდა შედარებით ბორეალური ელემენტების როლი. მთებში ქვემოთ დაიწია სიმაღლითმა სარტყლებმა. საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ტერიტორიაზე გაძლიერდა ფლორის ბორეალური ელემენტების შემოჭრა. მეზობელი

ფლორისტული, უმთავრესად აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვიური და წინააზიური ცენტრების გავლენის გარდა, საქართველოს ფლორის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ავტოქთონურმა პროცესებმა, რომელთაც განაპირობეს ბევრი ენდემური, მათ შორის ვიწრო ენდემური სახეობების წარმოშობა.

ადამიანის წარმოშობამ ახალი არსებითი ცვლილებები შეიტანა საქართველოს მცენარეულ საფარში. ძალზე შემცირდა ტყეების და სემიარიდული მთისწინების მცენარეულობის ფართობი, გაჩნდა ნატყევარი მდელოები, კულტურულ მცენარეთა ნათესები და ნარგავები. ფლორა გამდიდრდა როგორც ინტროდუცირებული, ასევე ადვენტური სახეობებით. (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მეტწილად სარეველებით)....

ამ ფონზე, წინამდებარე სემინარში წარმოდგენილია გვიანი პლიოცენიდან დღემდე დას. საქართველოს მცენარეული საფარის ისტორიის აღდგენის ჩვენი მცდელობა, კერძოდ კი მისი ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტის, შავი ზღვის მეოთხეული ტრანსგრესიულ-რეგრესიული ცვალებადობის და დას. საქართველოს ბუნებრივი სარტყლების სიმაღლითი ზონალობის თანმდევი ფლუქტუაციების ერთგვარი კომპლაციური მიმოხილვა. დასაწყისისთვის ჩვენ განვიხილავთ კოლხეთის კლიმატის ცვალებადობის ისტორიას და შავი ზღვის დონის რყევადობის ციკლებს, როგორც საბაზისო მასალას ფლორისტული პალეორეკონსტრუქციებისთვის.